

ბრძანება №6  
2025 წლის 16 მაისი  
ქ. თბილისი

აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს „აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესი“, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახურის  
უფროსი

დავით მჭედლიძე

დანართი

აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესი

**მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო და მიზანი**

1. ეს წესი არეგულირებს საზოგადოებრივი დაინტერესების პირისთვის (შემდგომ – სდპ) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმის (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) მიერ აუდიტირებული სდპ-ის აუდიტის კომიტეტისთვის (შემდგომ – აუდიტის კომიტეტი) წარსადგენი დამატებითი ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის წესს.

2. აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტისთვის წერილობით დამატებითი ანგარიშის წარდგენა აუდიტის შედეგების განმარტების მიზნით ან/და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ – კანონი) 14<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების ასახვა აუდიტირებული სუბიექტის აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ დამატებით ანგარიშში ემსახურება საქართველოში აუდიტორული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობას და პროცესების გამჭვირვალობის დონის ამაღლებას.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

1. ამ წესის მიზნებისთვის, სდპ-ისთვის აუდიტორული მომსახურების განმახორციელებელი აუდიტორული ფირმა (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) არის აუდიტორული ფირმა, რომელიც სამსახურის მიერ განხორციელებული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად განისაზღვრა სდპ-ისათვის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის უფლებამოსილების მქონე აუდიტორულ ფირმად.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 3. აუდიტორული ფირმის ვალდებულება**

1. აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას აუდიტორულმა ფირმამ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. აუდიტორმა/აუდიტორულმა ფირმამ წერილობით ან ელექტრონულად უნდა ასახოს ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის მის დამოუკიდებლობას, და მათი შემცირებისათვის გამოყენებული მეთოდების თაობაზე.



2. აუდიტორულ ფირმას არ აქვს უფლება, სუბიექტს გაუწიოს აუდიტორული მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სუბიექტსა და აუდიტორულ ფირმას, მის სისტემაში არსებულ პირებსა და იმ ფიზიკურ პირს შორის, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს აუდიტორული მომსახურების შედეგებზე, ფინანსური, პიროვნული, საქმიანი, შრომითი ურთიერთობით ან/და სხვა არსებული ან შესაძლო სამომავლო ურთიერთობით გამოწვეული ინტერესთა შეუთავსებლობის ან მუქარის გამოყენების საშიშროება, რომლის საფუძველზედაც ობიექტურმა, ინფორმირებულმა და გონიერმა მესამე პირმა შეიძლება დაასკვნას, რომ აუდიტორული ფირმის დამოუკიდებლობას საფრთხე ექმნება.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება აუდიტორული ფირმისა და ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ იმ სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, რომელსაც ის აუდიტორულ მომსახურებას უწევს, ან რომლის ფინანსურ შედეგებზე გავლენის მოხდენა სხვა საშუალებებით შეუძლია, გარდა საინვესტიციო ფონდის შუამავლობით არსებითი არაპირდაპირი ფლობისა. ფინანსურ ურთიერთობად ჩაითვლება, ასევე, ამ სუბიექტთან დაკავშირებული სხვა სუბიექტის წილების/აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდებისა და ფინანსური ინსტრუმენტების ფლობა, თუკი აღნიშნულმა შეიძლება ინტერესთა შეუთავსებლობა გამოიწვიოს.

4. აუდიტორულ ფირმას ან იმ ქსელის ნებისმიერ სხვა წევრს, რომელშიც ეს აუდიტორული ფირმაა გაერთიანებული, არ აქვს უფლება, აუდიტისადმი დაქვემდებარებულ იმავე სდპ-ის სუბიექტს, მის მშობელ საწარმოს ან მისი კონტროლისადმი დაქვემდებარებულ საწარმოს (საქართველოს ან ევროკავშირის წევრი ქვეყნის ფარგლებში) გაუწიოს კანონის 14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული არააუდიტორული მომსახურებები, კანონის ამავე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. აუდიტორულმა ფირმამ ყოველწლიურად, წერილობითი ფორმით უნდა დაუდასტუროს აუდიტის კომიტეტს, რომ სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორი, აუდიტორული ფირმა და გარიგების პარტნიორები, სხვა საკვანძო პერსონალი, რომლებიც ატარებენ სდპ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, დამოუკიდებლები არიან აუდიტირებული სუბიექტისგან.

#### **მუხლი 4. დამატებითი ანგარიშის მნიშვნელობა**

1. აუდიტორული ფირმა ვალდებულია აუდიტის კომიტეტს მიაწოდოს დეტალურად აღწერილი დამატებითი ანგარიში სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგების შესახებ.

2. დამატებითი ანგარიში აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის კომიტეტს მიეწოდება არაუგვიანეს აუდიტორული დასკვნის წარდგენისა. თუ აუდიტირებულ სუბიექტს არ ჰყავს აუდიტის კომიტეტი, დამატებითი ანგარიში აუდიტირებულ სუბიექტში მსგავსი ფუნქციების შემსრულებელ ორგანოს უნდა წარედგინოს.

3. საკუთარი ინიციატივით ან აუდიტის კომიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, აუდიტორული ფირმა აუდიტირებული სუბიექტის აუდიტის კომიტეტთან, სუბიექტის ადმინისტრაციულ ან საზედამხედველო ორგანოსთან, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტთან ერთად დამატებით განიხილავს იმ ძირითად საკითხებს, რომლებიც დამატებით ანგარიშშია ასახული.

4. საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით, სამსახური უფლებამოსილია აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს აუდიტორული ფირმის მიერ კომიტეტისთვის წარდგენილი დამატებითი ანგარიში. მოთხოვნის შემთხვევაში აუდიტორული ფირმა თავის მხრივ ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, მიაწოდოს სამსახურს აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილი დამატებითი ანგარიში.

#### **მუხლი 5. დამატებითი ანგარიშის შინაარსი და ფორმა**

1. აუდიტის კომიტეტისთვის განკუთვნილი დამატებითი ანგარიში უნდა შედგეს წერილობითი ფორმით, მხარეებს შორის არსებული კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეთანხმებულ ენაზე. ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში



დამატებითი ანგარიში სამსახურს უნდა წარედგინოს ქართულ ენაზე.

2. დამატებითი ანგარიში, რომელიც განმარტავს ჩატარებული აუდიტის შედეგებს, სულ მცირე:

ა) შეიცავს ამ წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას დამოუკიდებლობის შესახებ;

ბ) ახდენს აუდიტში ჩართული გარიგების პარტნიორის იდენტიფიცირებას;

გ) იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული ფირმის გადაწყვეტილებით, მისი რაიმე სამუშაო შესრულდა სხვა აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც იმავე ქსელს არ მიეკუთვნება, ან თუ აუდიტორულმა ფირმამ გამოიყენა გარე ექსპერტების მომსახურება, მიუთითებს ამ ფაქტის შესახებ და ადასტურებს, რომ აუდიტორულმა ფირმამ მიიღო დასტური სხვა აუდიტორული ფირმისგან ან/და გარე ექსპერტისგან მათი დამოუკიდებლობის თაობაზე;

დ) აღწერს აუდიტის კომიტეტთან ან აუდიტირებულ სუბიექტში ეკვივალენტური ფუნქციების შემსრულებელ ორგანოსთან, აუდიტირებული სუბიექტის მართვის ორგანოსთან, ადმინისტრაციულ ან საზედამხებდებლო ორგანოსთან წარმოებული კომუნიკაციის ხასიათს, სიხშირესა და მოცულობას, მათ შორის ამ ორგანოებთან ჩატარებული შეხვედრების თარიღებს;

ე) შეიცავს აუდიტის მასშტაბისა და ვადების აღწერას;

ვ) აღწერს გამოყენებულ მეთოდოლოგიას იმის მითითებით, თუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში რომელი მუხლები შემოწმდა ძირითადი პროცედურების საშუალებით, რომელი მუხლები შემოწმდა კონტროლის ტესტის საშუალებით და რომელი ზემოხსენებული ორივე მდგომარეობის გამოყენებით, მათ შორის, განმარტავს გამოყენებულ მეთოდოლოგიაში კონტროლის ტესტის ხვედრით წილს და მის მნიშვნელოვან ცვლილებებს წინა წელთან შედარებით, მაშინაც კი, თუ წინა წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარდა;

ზ) ამჟღავნებს სდკ-ის აუდიტის შესასრულებლად გამოყენებული არსებითობის რაოდენობრივ დონეს მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგებისთვის/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, არსებითობის დონე(ებ)ს ოპერაციების კონკრეტული კატეგორიებისთვის, ანგარიშების ნაშთებისთვის ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისთვის. ასევე, ამჟღავნებს იმ ხარისხობრივ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა არსებითობის დონის დადგენისას;

თ) ასახავს და განმარტავს აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლენილი იმ მოვლენების ან პირობების თაობაზე განსჯას, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს სუბიექტის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით, ასევე იმის განსჯას, წარმოადგენს თუ არა ისინი არსებით განუსაზღვრელობას, და წარმოადგენს ყველა იმ გარანტიის, მხარდაჭერის წერილის, საზოგადოების მხრიდან ჩარევის თაობაზე დაპირებებისა და სხვა მხარდამჭერი ზომების შეჯამებას, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა საწარმოს ფუნქციონირებადობის უნარის შეფასებისას;

ი) ასახავს აუდიტირებული საწარმოს ან, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემთხვევაში, მშობელი საწარმოს შიდაფინანსური კონტროლის სისტემის ან/და ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ყველა მნიშვნელოვან ნაკლოვანებას, რომელიც გამოვლენილია აუდიტის მიმდინარეობისას. თითოეულ ასეთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებასთან დაკავშირებით დამატებით ანგარიშში უნდა მიეთითოს ხელმძღვანელობის განმარტება იმის შესახებ, მოხდა თუ არა მისი აღმოფხვრა;

კ) ასახავს აუდიტის მიმდინარეობისას გამოვლენილ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ეხება კანონმდებლობასთან/მარეგულირებელ ნორმებთან ან სუბიექტის წესდებასთან ფაქტობრივ თუ საექვო შეუსაბამობას იმდენად, რამდენადაც ისინი მიიჩნევა რელევანტურად იმისათვის, რომ აუდიტის კომიტეტმა შეძლოს თავისი ფუნქციების შესრულება;

ლ) ასახავს და აფასებს ინდივიდუალური ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკის შემცველი მუხლისადმი გამოყენებულ შეფასების მეთოდებს, მათ შორის ამგვარი მეთოდების ცვლილების ნებისმიერ ზეგავლენას;



მ) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შემთხვევაში, განმარტავს კონსოლიდაციის პრინციპს და კონსოლიდაციას დაქვემდებარებულ საწარმოთა სიმრავლეს, ასეთის არსებობის შემთხვევაში გამორიცხვის კრიტერიუმებს, რომლებიც აუდიტირებულმა სუბიექტმა გამოიყენა არაკონსოლიდირებული სუბიექტების მიმართ. ასევე განმარტავს, შეესაბამება თუ არა გამოყენებული კრიტერიუმები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებს;

ნ) ახდენს იმ აუდიტორული სამუშაოს იდენტიფიცირებას, რომელიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით შეასრულეს საქართველოსა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნის რეგისტრირებულმა აუდიტორ(ებ)მა, საქართველოსა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნის აუდიტორულმა ორგანიზაცი(ებ)მა ან აუდიტორულმა ფირმ(ებ)მა, გარდა იმავე ქსელის წევრებისა, რომელსაც მიეკუთვნება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორული ფირმა;

ო) მიუთითებს, აუდიტირებული სუბიექტის მიერ წარმოდგენილი იყო თუ არა ყველა მოთხოვნილი განმარტება და დოკუმენტი;

პ) ასახავს:

პ.ა) ნებისმიერ მნიშვნელოვან სირთულეს, რომელსაც აუდიტორული ფირმა წააწყდა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებისას;

პ.ბ) ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად წამოიჭრა და განხილულ იქნა ან მიმოწერის საგანი გახდა სუბიექტის ხელმძღვანელობასთან;

პ.გ) ნებისმიერ სხვა საკითხს, რომელიც სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად წამოიჭრა და რომელიც, აუდიტორული ფირმის პროფესიული განსჯით, მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობისთვის.

3. სდპ აუდიტორული ფირმა, რომელიც კანონის 14<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“, „ა.დ“–„ა.ზ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მომსახურებებს ახორციელებს, აუდიტირებული სუბიექტის აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ, ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ დამატებით ანგარიშში სრულად ადოკუმენტირებს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოქმედების შეფასებას და, ასევე, ასახავს, რომ იგი იცავს დამოუკიდებლობის პრინციპს და მომსახურებები ცალ-ცალკე ან ერთობლივად პირდაპირ გავლენას არ ახდენს ან არაარსებით გავლენას ახდენს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. აუდიტის კომიტეტისთვის წარსადგენი დამატებითი ანგარიში უნდა იყოს ხელმოწერილი და დათარიღებული. აუდიტის კომიტეტისთვის განკუთვნილ დამატებით ანგარიშს აუდიტორული ფირმის სახელით ხელს აწერს სდპ-ის უფლებამოსილების მქონე გარიგების პარტნიორი.

## მუხლი 6. გარდამავალი დებულება

ამ ბრძანებით გათვალისწინებული, აუდიტის კომიტეტისათვის განკუთვნილი დამატებითი ანგარიში შედგენილ იქნას 2025 წლის 1 სექტემბრის შემდგომ დაწყებულ ან გაგრძელებულ სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე.

